# შიდაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№40 (9.556)

26 ოქტომბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


# საკრებულო მოსახლეობას „საპატიო მოქალაქეთა“ კანდიდატურების წარმოდგენისკენ მოუწოდებს

***საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო პირველად შეიკრიბა. საკრებულოს მორიგი სხდომა 23 ოქტომბერს დღის 13:00 საათზე გაიმართა. სხდომა თანამედროვე სტანდარტების ახალ დარბაზში ჩატარდა, რომელიც გამგეობის შენობის პირველ სართულზეა განთავსებული.***

დეპუტატებმა დღის წესრიგში შეტანილი შვიდი საკითხი განიხილეს, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის, **ლევან ბაღაშვილის** კუთვნილი შვებულებიდან დაბრუნების თაობაზე.

ამასთან, განიხილეს ბიუჯეტში ცალკეული ცვლილების შეტანის საკითხიც.

ძალადაკარგულად გამოცხადდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია და საკრებულოს შესაბამისი დადგენილება და განკარგულება.

„მოქმედი პრეზიდენტის ვადის ბოლომდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა ატესტაცია არ იგეგმება, აქედან გამომდინარე, კომისიის მოქმედება აზრს კარგავს,“ - აღნიშნა ლევან ბაღაშვილმა.

დედოფლისწყაროს საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრს მიმდინარე წელს დამატებით კიდევ 52,500 ლარი გამოეყო.

როგორც საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა განაცხადა, სხვადასხვა სოფლებში ახლადრეაბილიტირებული საბავშვო ბაღების ეზოებში საბავშვო ატრაქციონების და სათამაშოების მოსაწყობად 28 000 ლარი დაიხარჯება, ხოლო ბაღებისთვის ახალი ინვენტარის შესაძენად 24 000 ლარი.

დედოფლისწყაროს საკრებულომ ამ საკითხზე ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილება 23 ოქტომბრის სხდომაზე შეიტანა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ბაღაშვილის განმარტებით, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა შეიზღუდა, რის გამოც დამატებითი თანხის გამოყოფის საკითხი გაჭიანურდა.

რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროში მრავალბინიანი კორპუსების ფასადების მასშტაბური რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა განაცხადა, ამჯერად, ფასადების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ თანხას 9 400 ლარი დაემატა. შანშიაშვილის განმარტებით, თანხის დამატება დარჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გახდა საჭირო.

დეპუტატებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკითხს კენჭი უყარეს და ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს.

„ფასადები დედოფლისწყაროში პირველად იღებება, მანამდე ჩვენს მუნიციპალიტეტს ამის სახსრები არ გააჩნდა,“ — აღნიშნავს დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი.

დედოფლისწყაროს გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით, ფასადის კოსმეტიკური სამუშაოები საბოლოო ჯამში 21 მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსს ჩაუტარდა.

ამასთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი მოსახლეობას დედოფლისწყაროს „საპატიო მოქალაქეთა“ კანდიდატურების წარმოდგენისკენ მოუწოდებს. დედოფლისწყაროს საკრებულოსთან არსებული „საპატიო მოქალაქის“ საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ საკრებულოს განკარგულებაში ცვლილებები შევიდა.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილმა სოფლების მაჟორიტარებს და დაინტერესებულ პირებს სთხოვა, იაქტიურონ და საკრებულოს განსახილველად დედოფლისწყაროს „საპატიო მოქალაქეთა“ კანდიდატურები დროულად მიაწოდონ. ამისათვის კი აუცილებელია ხუთკაციანი საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც თითოეულ კანდიდატურას წარადგენს. ბაღაშვილმა სურვილი გამოთქვა, ტრადიციად იქცეს, რომ ყოველ წელს „საპატიო მოქალაქეების“ გამოვლენა ფიროსმანობის დღესასწაულისთვის მოესწროს. მისი თქმით, კომისია მსჯელობის შემდეგ წელიწადში არაუმეტეს 5 დედოფლისწყაროს „საპატიო მოქალაქეს“ გამოავლენს და დააჯილდოვებს.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეთა რიცხვს გასულ წელს ოთხი ადამიანი მიემატა.

ამას გარდა, საკრებულომ პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საძოვრებზე გადასახადი 16 ლარიდან 7 ლარამდე შეამცირა, რაც სერიოზული შეღავათი იქნება ჩვენი ფერმერებისა და მეცხოველეობისათვის.

ილია მარტყოფლიშვილი


## მირზაანის სკოლა - პრობლემები და პერსპექტივები

## ახალი გზა და ურჩი მძღოლები ანუ... ვინ დაარღვევს კანონს?!

## მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები პირველ სკოლაში

გვ. 5



**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge


C M Y K

# პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

პარლამენტმა 88 ხმით 54-ის წინააღმდეგ მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა. მინისტრთა კაბინეტი დეპუტატებს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ირაკლი გორდულაძემ წარუდგინა.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იქნება; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - დავით ნარმანია, რომელიც მომავალში ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახდება.

ფინანსთა მინისტრი - ნოდარ ხადური; განათლების მინისტრი - გიორგი მარგველაშვილი; ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - დავით დარახველიძე; ენერგეტიკის მინისტრი - კახა კალაძე; რომელიც მანამდე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად იყო დასახელებული. იგი დარჩება ვიცე-პრემიერადაც. გარემოს დაცვის მინისტრი - ხათუნა გოგალაძე; ჯანდაცვის მინისტრი - დავით სერგენკო, რომელიც საჩხერის სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი; თავდაცვის მინისტრი - ირაკლი ალასანია (ამავე დროს ვიცე-პრემიერი); იუსტიციის მინისტრი - თეა წულუკიანი; სასჯელაღსრულების მინისტრი - სოზარ სუბარი.

სოფლის მეურნეობის მინისტრი - დავით კირვალიძე; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - ლევან ყიფიანი; საგარეო საქმეთა მინისტრი - მაია ფანჯიკიძე; კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - გურამ ოდიშარია.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - კოტე სურგულაძე; ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - ალექსი პეტრიაშვილი. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - პაატა ზაქარეიშვილი, დასაქმების სახელმწიფო მინისტრი - კახა საკანდელიძე.

სამომავლოდ ეკონომიკის სამინისტროს შეურთდება ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები, ხოლო მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გაუქმდება დასაქმების სახელმწიფო მინისტრის პოსტი, საკანდელიძე საქმიანობას ჯადაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გააგრძელებს.

საპარლამენტო უმცირესობამ ახალ მთავრობას მხარი არ დაუჭირა. (ინტერპრესნიუსი)

# ჯარში გაწვევის ვადა 6-8 თვემდე მცირდება

განიხილება, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ვადა 6-8 თვემდე შემცირდეს, - ამის შესახებ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული წვევამდელების ასაკი 19 წლით განისაზღვროს.

„თუ რა პირობებს ვუყენებთ წვევამდელებს, ეს შეიარაღებული ძალების მიერ იქნება დასაგეგმი. შევისწავლი მათ წინადადებებს, როგორც სამოქალაქო მინისტრი. ეს საკითხი დღის წესრიგში დგას, თუმცა, ის იქნება სამომავლო სამხედრო დოქტრინაზე მიბმული", - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

# არხილოსკალოელ მოზარდს 2 წელზე მეტია ეძებენ



უკვე ორ წელზე მეტია, დედოფლისწყაროს რაიონში 16 წლის მოზარდს ოჯახი და პოლიცია ეძებს. ვასილ წიკლაური 2010 წლის 26 სექტემბერს სოფელ არხილოსკალოდან გაუჩინარდა. როგორც დაკარგულის მშობლები ამბობენ, გაუჩინარების დღეს ის თანასოფლელთან ერთად იმყოფებოდა.

ოჯახი ეჭვობს, რომ მათი შვილის შესახებ ინფორმაცია სწორედ მას აქვს.

ოჯახის ამ ვერსიას არ ეთანხმება ის არასრულწლოვანი, რომელსაც დაკარგულის მშობლები ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებენ.

მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო იძიებს. თუმცა, დაკარგულის ოჯახი მიიჩნევს, რომ პოლიცია დაკარგულის საპოვნელად არ აქტიურობს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: იარაღსა და ნარკოტიკს არავის ჩავუდებთ

იარაღსა და ნარკოტიკს არავის ჩავუდებთ, დანაშაულს დანაშაულს არ დავუპირისპირებთ და ამით პოლიციას დანაშაულის ჩადენისკენ არ ვუბიძგებთ, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, დაგეგმილია სოდი-ს დეპარტამენტის გაუქმება.

„სამინისტროში რეფორმებისა და განვითარების ბიურო შეიქმნება. ე.წ. კანონიერი ქურდების მიმართ ბრძოლა არ შეჩერდება და თუ ისინი საქართველოში ჩამოსვლას გაბედავენ, მათ შესაბამის უწყებაში განათავსებენ. კრიმინალთან მაქსიმალურად შეურიგებელი ვიქნებით. კომპლექსურად ვიბრძოლებთ დანაშაულთან და არა მოქმედებასთან",- განაცხადა ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილის განცხადებით, კრიმინალთან ბრძოლაში მაქსიმალური შეურიგებლობის პოლიტიკა გაგრძელდება.

ნულოვანი ტოლერანტობის საკითხი აქტუალური დღეს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე იყო.

„ნულოვანი ტოლერანტობა ეს არის უბრალოდ ტერმინი, რომელიც არაერთგვაროვან მოსაზრებებს იწვევს საზოგადოებაში. ჩვენი მკაფიო ამოცანაა, რომ ვიქნებით მაქსიმალურად შეურიგებლები კრიმინალთან ბრძოლაში, გნებავთ ამას დაარქვით ნულოვანი ტოლერანტობა და გნებავთ, სხვა რამე", -განაცხადა ღარიბაშვილმა.

# ახლად არჩეული მთავრობის პირველ სხდომაზე პირველი ეტაპის გეგმებზე იმსჯელეს

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ახალი მინისტრთა კაბინეტის გუშინ გამართულ პირველ სხდომაზე " სასწრაფო საკითხებზე" ისაუბრეს.

ივანიშვილის თქმით, პირველი ეტაპის გეგმა უნდა გაკეთდეს, იმსჯელონ ჯანდაცვაზეც, პოლიციების დარიგებაზე და იმაზე, თუ როგორი ხარისხის უნდა იყოს ეს პოლიციები. იმსჯელეს ასევე გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებზე.

ივანიშვილის ინფორმაციით, გაზაფხულიდან დაიწყება დაგეგმარება, თუ რა თანხები და ტექნიკაა საჭირო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ახლადარჩეული მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, ბოლო პერიოდში გააქტიურდა დევნილთა პრობლემებიც და აუცილებელია მისი სასწრაფოდ გადაჭრა.

პრემიერის განმარტებით, მთავრობის შემდეგი სხდომა ორშაბათს შეიკრიბება. "შესაძლოა, პირველ ეტაპზე ხშირი შეხვედრები მოგვიწიოს", - დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

# პენსიის 220 ლარამდე ზრდა რამდენიმე წელიწადში იქნება შესაძლებელი

პრემიერ - მინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი არ აკონკრეტებს, რა პერიოდიდან შეიძლება გახდეს საქართველოში პენსია 220 ლარი და აცხადებს, რომ ეს ინვესტიციების ზრდაზეა დამოკიდებული.

კითხვა პენსიებთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრაზე ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ზურაბ ჯაფარიძემ დაუსვა.

„მრავალჯერ გაგვიკეთებია განცხადება, რომ პენსია უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე არანაკლები, თუმცა ჩვენ არასდროს ვაფიქსირებდით კონკრეტულ თარიღს. ზუსტად ვერც ახლა დაგიკონკრეტებთ, ეს მომავალ ერთ წელიწადში იქნება, თუ უფრო გვიან. ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხერხდება ინვესტიციების ზრდა", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ პენსიის 220 ლარამდე ზრდა უახლოეს რამდენიმე წელიწადში იქნება შესაძლებელი.

„პენსია საარსებო მინიმუმს აუცილებლად უნდა გაუტოლდეს და უახლოეს მომავალში ვგეგმავთ მივაღწიოთ ასეთ ნიშნულს. ვფიქრობთ, უახლოეს რამდენიმე წელიწადში ეს რეალურია და ამას მივაღწევთ", - აღნიშნა ივანიშვილმა.

# ზურაბ ჭიაბერაშვილი გუბერნატორების პირდაპირ არჩევას მიესალმება

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას - მერების, გამგებლებისა და გუბერნატორების პირდაპირი წესით არჩევის შესახებ კახეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი გამოეხმაურა. ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, იგი მიესალმება ამ ინიციატივას და მხარს უჭერს.

„როდესაც 9 წლის წინ „ნაციონალური მოძრაობა" მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინვე დაიწყო დეცენტრალიზაციისკენ სვლა. ამის მაგალითი იყო 2006 წელს თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა. ეს საკითხი მოითხოვს სერიოზულ დებატებს საქართველოს პარლამენტში. პირველ რიგში არჩევნებამდე ამას სჭირდება პარლამენტში შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რომლის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება ვილაპარაკოთ არჩევნებზე", - განუცხადა რადიო „ჰერეთს" ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

# ღვინიაშვილმა ღარიბაშვილს ბავშვის გარდაცვალების გამოძიების კონტროლზე აყვანა სთხოვა

საპარლამენტო უმცირესობა ირაკლი ღარიბაშვილს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში დედოფლისწყაროდან სტუმრად მყოფი 10 თვის ჩვილის ბარბარე რაფალიანის გარდაცვალების საქმის გამოძიების პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს.

ამ თხოვნით ირაკლი ღარიბაშვილს გურჯაანის მაჟორიტარმა დეპუტატმა და კახეთის ყოფილმა გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა მიმართა და სთხოვა, რომ დროულად მოხდეს საქმის გამოძიება და საზოგადოებას მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ რა მოხდა კოლაგში.

ღარიბაშვილი დაჰპირდა უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ საქმეს პირად კონტროლზე აიყვანს.

შეგახსენებთ, 30 სექტემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 10 თვის ჩვილი წყლით სავსე ქვევრში იპოვეს. არსებული ცნობით, ის მშობლებმა საძინებელში დაძინებული დატოვეს, თავად კი სამზარეულოში სავახშმოდ გავიდნენ, თუმცა უკან დაბრუნებულებს ჩვილი ადგილზე აღარ დახვდათ. გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, დედოფლისწყაროდან კოლაგში სტუმრად მყოფი ოჯახი, მსახიობ გივი ბერიკაშვილის სახლში დაბინავდა.

ექსპერტიზის დასრულების შემდეგ გარდაცვლილი ჩვილის, 10 თვის ბარბარე რაფალიანის ცხედარი გურჯაანის პროზექტურიდან პირდაპირ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში, საკუთარ სახლში გადაასვენეს. ის 4 ოქტომბერს, ქვემო ქედში დაკრძალეს.

24 ოქტომბერს ექსპერტიზამ არჩევნების წინა ღამეს გურჯაანის რაიონში გარდაცვლილი ბარბარე რაფალიანის სიკვდილის მიზეზი დაადგინა. ექსპერტიზის დასკვნით ასფიქსია წყალმა გამოიწვია. ექსპერტების მტკიცებით, 10 თვის გოგონა ქვევრში ცოცხალი ჩააგდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე მახარაძის განცხადებით მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

„მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. ჩვენი ინფორმაციით ბავშვი ქვევრში არსებულ წყალში დაიხრჩო", - აცხადებს მახარაძე.

ბარბარე რაფალიანი, რომელსაც დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ეძებდნენ, საძინებელი ოთახის გვერდით მდებარე მარანში, წყლით სავსე ქვევრში, გარდაცვლილი იპოვეს. ქვევრს ზემოდან ქვა ჰქონდა დაფარებული.

საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის მუხლით. გამოძიებას შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნებამდე ვარაუდობდნენ, რომ გამტაცებელს ბავშვი გაეგუდა და ქვევრში ამის შემდეგ ჩააგდო.

ილია მარტყოფლიშვილი

# ჯილეხის ახალი კერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

*დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის მიმდებარე ტერიტორიაზე(ყოფილ მეფრინველეობის ფაბრიკაში ლია შარმაზანაშვილის ფერმა) და სოფელ საბათლოს მიმდებარე ტერიტორიაზე(ვალიკო ზვიადაურის ფერმა) დაფიქსირდა ჯილეხით (ციმბირული წყლული) დაავადების შემთხვევები.*

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის № 513 ბრძანებით:

დაავადების კერის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნა სპეციალური შტაბი მუნიციპალიტეტის გამგეობლის მოადგილის რევაზ ქოქიაშვილის ხელმძღვანელობით;

ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, ცხოველების საშიში სნეულებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის მიმდებარე ტერიტორიაზე და სოფელ საბათლოს მიმდებარე ტერიტორიაზე გამოცხადდა ჯილეხის დაავადებაზე არაკეთილსაიმედო, ხოლო მისი მიმდებარე ტერიტორია ჯილეხის მხრივ საშიშროების ქვეშ მყოფ ტერიტორიად. დაწესდა საკარანტინო ზედმხედველობა ჯილეხით ავადყოფი ცხოველის სიკვდილის უკანასკნელი გამოვლენიდან 15 დღის განმავლობაში;

საკარანტინო ტერიტორიაზე აიკრძალა: პირუტყვის დაკვლა,ასევე, ხორცისა და ხორცპროდუქტების გატანა-რეალიზაცია,არაკეთილსაიმედო ტერიტორიაზე ყველა სახეობის ცხოველების შეყვანა-გაყვანა,დაკარანტირებულ ტერიტორიაზე ტრანსპორტის შესვლა; აიკრძალა ცხოველთა დაწყურება საერთო გუბურიდან და სხვა წყალსატევიდან;

ააიპ ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს(მ.გონაშვილი) დაევალა დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებულ ადამიანთა გამოვლენა , აღრიცხვა და ეპიდზედამხედველობა, ხოლო სსიპ სურსათის ეროვნული საგენტოს კახეთის რეგიონალურ სამმართველოს(თ. მთვარელიშვილი) ეთხოვა დაავადების არაკეთილსაიმედო კერაში და ჯილეხის მხრივ საშიშროების ქვეს მყოფ ტერიტორიაზე დაავადების საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა.

# პოსტრევოლუციური საქართველო

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების გზით მთავრობის გადაბარების პროცესს შეფასებების ფონზე უკვე უწოდეს თავისი სახელი— „ოქტომბრის ევოლუცია“. დიახ, საქართველოში აქამდე ხელისუფლების ცვლილება ყოველთვის ხდებოდა რევოლუციური გზით. პირველი ეროვნული მთავრობის ცვლილება პუტჩის გზით და სამარცხვინო ძმათამკვლელი ომით მოხდა. დროებითი მთავრობა მოსკოვიდან „ზარ—ზეიმით“ ჩამოყვანილმა შევარდნაძემ ჩაანაცვლა, რომელსაც ქართული საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი მაშინ „მესიადაც“ კი მოიაზრებდა. პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კი, რომელმაც გარკვეული პოლიტიკური შეცდომები კი დაუშვა, მაგრამ თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო, დევნილობაში აღმოჩნდა. წლების შემდეგ, როცა უცხო ქვეყანაში ვეღარ გაძლო, სამშობლოში მალულად მყოფი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. დღემდე გამოცანად რჩება მისი სიკვდილის რეალური მიზეზი— სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა თუ მოკლეს. შევარდნაძის რამდენიმეწლიანი ეპოქის დასრულება მმართველი პარტიის— მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა, უცხოეთში განათლებამიღებულმა და ევროპულ და ამერიკულ კულტურას ნაზიარებმა წევრებმა მოახერხეს. თუმცა, მოქკავშირის ხელისუფლებიდან წასვლა ასე მარტივი არ აღმოჩნდა. ამისთვის გაყალბებულ საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი ხმების დასაცავად ქართველი ხალხის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები გახდა საჭირო. უსისხლო რევოლუციამ, რომელიც მოგვიანებით „ვარდების რევოლუციად“ მოინათლა, შევარდნაძის პრეზიდენტობის ვადამდელი დასასრული და მისი „სახლში წასვლა“—კრწანისის რეზიდენციაში უზრუნველი სიბერე განაპირობა.

ამ მოვლენების შემდეგ 9 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე იყო განხორციელებული უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი, ბევრ სფეროში გატარებული რეფორმა, განისაზღვრა და მკვეთრად გამოიხატა ქვეყნის საგარეო კურსი, თუმცა იყო რუსეთ-საქართველოს ომიც და ამ მოვლენების გამო დაკარგული ტერიტორიებით გამოწვეული ტკივილიც, იყო შეცდომებიც და ხელისუფლების უკმაყოფილო ხალხის საპროტესტო აქციებიც. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებზე ხალხმა ხელისუფლებას ყველა დაშვებულ შეცდომაზე პასუხი მოსთხოვა და მხარი ოპოზიციას დაუჭირა—ამის შესახებ პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავადაც განაცხადა. ქვეყნის პირველმა პირმა არჩევნებში დამარცხება აღიარა,ოპოზიციას გამარჯვება მიულოცა და განაცხადა, რომ მთავრობის მშვიდობიანი გზით გადაბარების პროცესს ხელს შეუწყობს.

წინასაარჩევნო პერიოდში არსებული დარღვევების და კენჭისყრის დღეს არსებული დაპირისპირებების მიუხედავად, დღეს ყველა ერთხმად თანხმდება, რომ საქართველოს ისტორიაში მთავრობის ცვლილება პირველად ხდება დემოკრატიული - არჩევნების გზით, რაც ნამდვილად მისასალმებელია. დღევანდელი პარლამენტიც საკმაოდ პოლარიზებულია, მაგრამ საინტერესო. საპარლამენტო დებატებმა ამ დრომდე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში უჩვეულო სიწყნარე დაარღვია და მიუხედავად მისი „სინორჩისა“, პოლიტიკური ბრძოლის ველის სახე უკვე მიიღო. ექსპერტებმა შეფასებისას აღნიშნეს, რომ დღევანდელ მთავრობას საკმაოდ ძლიერი ოპონენტები ეყოლება და, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს ძლიერი პოლიტიკური ძალის როლის შენარჩუნებას, ამიტომ ახალ ხელისუფლებას ძლიერ ნერვებთან ერთად დიდი ყურადღებაც დასჭირდება. როგორც ამბობენ, პოლიტიკურ რინგზე ასეთი ორთაბრძოლა ქვეყანას კარგად წაადგება—მთავრობა შეეცდება ნაკლები შეცდომა დაუშვას, რათა ოპოზიციას მიზეზი არ მისცეს კრიტიკისთვის, განსაკუთრებით ისეთ ოპოზიციას, რომელიც ხელისუფლებაში უკვე იყო და როგორც პრემიერ—მინისტრმა განაცხადა, მათ „ჩასაფრებული ადამიანების პოზიცია აქვთ“.

ქართული პოლიტიკური ცხოვრება ნელ—ნელა განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების იდენტური ხდება. შესაძლოა, აქ ჯერ კიდევ უამრავი ნაბიჯია გადასადგმელი ნამდვილი დემოკრატიის ასაშენებლად, მაგალითად, თავისუფალი მედია-სივრცის ჩამოყალიბება, უფრო ძლიერი სამოქალაქო სექტორის შექმნა, მათი დაცვა და გამიჯვნა პოლიტიკისგან, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი მიეჩვია არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას და დემოკრატიული პრინციპების დაცვას. ოღონდ ამჯერად საჭიროა, რომ პოლიტიკის გამო არ დავუშვათ არც საზოგადოების და არც სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების პოლარიზება, რომელიც ჩვენს ისედაც მცირერიცხოვან ერს კარგად ნამდვილად არ წაადგება.

ინგა შიოლაშვილი

# ახალი გზა და ურჩი მძღოლები ანუ... ვინ დაარღვევს კანონს?!

უკვე რამდენიმე კვირაა, 9 აპრილის მოსახლეობა ახალი ასფალტის საფარიანი გზით სარგებლობს და კმაყოფილებასაც გამოთქვამს, თუმცა ამ ქუჩის მოსახლეობას წლების მანძილზე ერთი დიდი პრობლემა აწუხებდა— ისინი თავიანთ ქუჩაზე მძიმე სატვირთო ავტომანქანების მოძრაობას აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ კანონის თანახმად, ამგვარი მანქანები არა მათ ქუჩაზე, არამედ მათთვის რეკომენდირებულ შირაქის ქუჩაზე უნდა მოძრაობდეს. მიუხედავად ამისა, თეთრი ქვიშით დატვირთული გრძელი „ტრაილერები“ და ე.წ.„კამაზები“ მაინც მოკლე გზას ირჩევდნენ და ამ ქუჩაზე ავლა-ჩავლა ყველაზე მოსახერხებლად მიაჩნდათ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატთან ზაზა კედელაშვილთან შეხვედრისას, ამ ქუჩის მოსახლეობამ მწვავედ დააყენა ეს საკითხი და ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან მათი პოზიციის დაცვა მოითხოვა. მოხდა დაპირებაც, რომ საქმის კურსში ჩააყენებდნენ პოლიციასაც, ამასთან, 9აპრილის ქუჩაზე განლაგდებოდა საგზაო ნიშნები, რაც პირდაპირ მიანიშნებდა მძღოლებს, რომ ამ გზაზე გადაადგილება ეკრძალებოდათ. კანონის დარღვევისთვის კი დაჯარიმდებოდნენ. ამჯერად, როცა ახალი გზა დაიგო, მძიმე სატვირთო მანქანები არ ითვალისწინებენ მოსახლეობის პრეტენზიას და კვლავ იგივე გზით დადიან, უფრო მეტიც, განახლებულ გზაზე მუხლუხა ტრაქტორებმაც დაიწყეს სიარული. მოსახლეობა გულისწყრომას გამოთქვამს და ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერას მოითხოვს.

- „ჩვენ გზა ტრაქტორების და კამაზების სასიარულოდ კი არა, ჩვენი კეთილდღეობისთვის და გადაადგილებისთვის გაგვიკეთეს და არა მათი შემოკლებითი გზისთვის, გთხოვთ კიდევ ერთხელ, დაგვეხმაროთ და გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი გულისტკივილი, იმედი გვაქვს, რომ ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს და დახმარებას გაგვიწევს“ - აცხადებს 9 აპრილის ქუჩაზე მცხოვრები ვაჟა ნაცვლიშვილი, მას ეთანხმებიან სხვა ადგილობრივი მაცხოვრებლებიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით „შირაქთან“ კომენტარი გააკეთა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ავთანდილ თეთრაულმა, რომელმაც აღნიშნა: „შესაძლოა, მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ რაც ადგილობრივი ხელმძღვანელობის კომპეტენციის ფარგლებში შედის, ხელმძღვანელობამ მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით დროულად შეასრულა დანაპირები და მათი თხოვნისთანავე საგზაო ნიშნები ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ორივე მხრიდან,- 9 აპრილის გზის დასაწყისშიც და კირქვის კარიერიდან გამოსასვლელ გზაზეც დაამონტაჟა, ისე რომ, მოსახლეობის მოთხოვნა ჩვენს მუნიციპალიტეტს უპასუხისმგებლოდ არ დაუტოვია. და თუ მძიმე სატვირთო ავტომანქანები კვლავაც დადიან 9 აპრილის ქუჩაზე, ესეიგი, ისინი კანონს არღვევენ. ახლა ჯერი კანონის აღსრულებაზეა, თუ მძიმე სატვირთო მანქანები კანონს არღვევენ და არ ემორჩილებიან საგზაო ნიშნებით გათვალისწინებულ წესს, ამ მხრივ საქმე საპატრულო პოლიციამ უნდა აღასრულოს და ურჩ მძღოლებს ჯარიმები დაუწერონ“-აცხადებს თეთრაული. როგორც აღმოჩნდა, იმის გამო, რომ მოსახლეობიდან საპატრულო პოლიციაში არ შესულა განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით, ის არ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული პრობლემის შესახებ, თუმცა, ამიერიდან შემოვლას განახორციელებენ და ამ კუთხით წესრიგს უახლოეს დღეებში დაამყარებენ.

ჩვენს მიერ დაყენებული საკითხის შედეგად, ჯერ კიდევ მასალის გაზეთში დაბეჭდვამდე, მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ კირქვის კარიერიდან მომავალი მძიმე სატვირთო მანქანების დენადობა საგრძნობლად შემცირდა და მხოლოდ რამოდენიმე ურჩი მძღოლიღა მოძრაობს მათ ქუჩაზე. იმედია, ეს მძღოლებიც გაითვალისწინებენ და აკრძალვებს დაემორჩილებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საპატრულო პოლიციის მიერ აუცილებლად დაჯარიმდებიან.

ლალი მეხრიშვილი

# აი, რაში ჩამოვრჩით მსოფლიოს

კახეთში მოსახლეობის უმეტესობა ნატურალურ გლეხურ მეურნეობას ეწევა. ზოგი მოწეული პროდუქტის ნაწილს ადგილზე ყიდის, ზოგს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ან დედაქალაქში მიაქვს და იქ უკეთებს რეალიზაციას. უკვე ჩამოყალიბდა ე. წ. გადამზიდავების ერთი ჯგუფი. მათ სწრაფად შეითვისეს ვაჭრობის ანაბანა - ადგილზე იაფად შეიძინე ხილი ან სხვა რამ, საკუთარი "ფორდით" ჩაიტანე იქ, სადაც მოცემულ მომენტში ამ საქონელზე მოთხოვნაა და სწრაფად გაუკეთე რეალიზაცია.

ეს პროფესია თუ ხელობა ბევრმა მოსინჯა, მაგრამ დიდი კონკურენციის გამო მხოლოდ განსაკუთრებით ალღოიანები შემორჩნენ. ასე დაიწყეს 90-იან წლებში მამებმა და დღეს უკვე მათი შვილები აგრძელებენ - საადრეო მარწყვიდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე ციტრუსით დამთავრებული გზაზე არიან გაგებულნი საშოვარზე. ჩვენს თვალწინ საბაზრო ეკონომიკის კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი - საქმე მამიდან შვილზე გადადის.

ასეთ ოჯახებში სწავლა და განათლება პრიორიტეტული აღარ არის. საქმე, რომელსაც ფული მოაქვს, არ იცდის, სწავლას კი უამრავი თავისუფალი დრო უნდა, სწავლის შედეგს - მოლოდინი, რომელიც გაურკვეველ (როდის რა იქნება) მომავალშია. ფული კი დღესვეა საჭირო - კვებისათვის, ჩაცმისათვის, მკურნალობისათვის, ჭირისა და ლხინისათვის.

სწავლა და მასზე ფულის ხარჯვა მითუმეტეს მძიმე ტვირთია ისეთი ოჯახებისათვის, სადაც ოჯახის არცერთი წევრი არ მუშაობს. ასეთი ოჯახები კი საქართველოში, სადაც, როგორც ამბობენ, მილიონამდე უმუშევარია, უამრავია. ასეთი ოჯახი როგორღაც ახერხებს ბავშვს სკოლა დაამთავრებინოს, მაგრამ ამას იქით ვეღარ მიდის - უმაღლესი განათლების მიცემა მწირ ოჯახურ ბიუჯეტს არ ძალუძს.

უმაღლესი განათლების მიუღებლობას, ანუ "რაღაც სპეციალობის" მიღებას და ვითომ სამსახურის უფრო იოლად შოვნის ილუზიას, გინდა არ გინდა, ბოლოდროინდელი როტორიკაც უწყობს ხელს, - ჩვენ საჭიროზე მეტი იურისტი, ექიმი და დიპლომატი გვყავს. ახლა გვჭირდება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება - მზარეულები, მიმტანები, გიდები, ბარმენები და, საერთოდ, ქვეყანაში დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი ნაკლებობაა. იმას კი კაციშვილი არ ამბობს, რომ ამ დაბალი კვალიფიკაციის პერსონალს ხელფასიც დაბალი ექნება, თუ ეღირსა და სამსახური იშოვა.

ვაკანსიების ჩამონათვალს თუ გადავხედავთ, თვალში გეცემათ ორი უკიდურესობა: კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები აქვეყნებენ კონკურსს, მაგალითად, დიდი საფინანსო ორგანიზაციების ფინანსური მენეჯერების ვაკანტურ თანამდებობებზე, შესაბამისი მოთხოვნებით - უცხო ენების ცოდნა და საერთაშორისო კომპანიებში მუშაობის გამოცდილება, რაც იშვითობაა, ანდა, ითხოვენ მზარეულებს, მძღოლებს და სასტუმროების მომსახურე პერსონალს.

შუა გაკრეფილია. ეს "შუა", სწორედ უმაღლესი განათლების მქონე, მაგრამ წლების მანძილზე უმუშევრობის გამო დისკვალიფიცირებული საზოგადოების დიდი ნაწილია.

ქართული საზოგადოება რატომღაც დარწმუნებულია, რომ ჩვენთან კატასტროფულად ბევრი უმაღლესდამთავრებულია და ამიტომ ჭირს სამუშაოს შოვნა. ეს მცდარი აზრია. სულ ცოტა ხნის წინ უმაღლესი თანამდებობის პირებიც უწყობდნენ ხელს ამ აზრის ჩამოყალიბებას. არადა მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ხაზს უსვამს - მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს უმუშევრობა სხვებზე ნაკლებად ემუქრებათ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2012 წლისათვის იმ ქვეყნების ათეული, რომელსაც ყველაზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე ჰყავს, ასე გამოიყურება - კანადა, ისრაელი, იაპონია, აშშ, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ავსტრალია, ირლანდია.

საქართველო ამ სიაში სადღაც ბოლოშია. თავად განსაჯეთ - კანადაში მოსახლეობის 51% აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ისრაელში - 46%-ს, იაპონიაში - 45%-ს, საქართველოში კი მხოლოდ მოსახლეობის - 22%-ს, - ორჯერ ნაკლებს.

დღესდღეობით საქართველოში ყოველ 10 000 მცხოვრებზე მოდის 234 სტუდენტი (აღსანიშნავია, რომ 2003 წელს ეს ციფრი იყო 355), მაშინ როცა მაგალითად ლატვიაში ყოველ 10 000 მცხოვრებზე 492 სტუდენტია, - აცხადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი გია ჟორჟოლიანი თავის ინტერვიუში. - ევროგაერთიანების ქვეყნების ხარჯების ყოველი მეცხრე ევრო განათლებაზე იხარჯება , ჩვენთან კი - მხოლოდ ყოველი მეთორმეტე. ამასთანავე, თუ ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობა განათლების ხარჯების მხოლოდ 13%-ს ფარავს, საქართველოში ეს მაჩვენებელი თითქმის 70% - ია!

ამოტომაც შემცირდა სტუდენტთა რიცხვი

-როცა ევროპულ ორიენტაციაზე ვსაუბრობთ, - ამბობს თავის ინტერვიუში ბატონი გია, - მთავარი მიზანი ევროპული პოლიტიკური წესრიგის, თავისუფალი საზოგადოების დაფუძნება უნდა იყოს, რომლის ქვაკუთხედი მაღალი დონის განათლების მიღების საყოველთაობა იქნება. ეკონომიკის, მრეწველობის, მაღალი ტექნოლოგიების განვითარება გააჩენს მოთხოვნას ახალ სპეციალობებზე და არა მხოლოდ იურისტებზე, ფინანსისტებზე და ბანკირებზე.

როგორც ხედავთ, მთელ მსოფლიოში უმაღლესი განათლება უამრავი მიზეზის გამო ისევ პრიორიტეტულია.

ჩვენ რატომ უნდა მივბაძოთ მესამე რიგის ქვეყნებს?

მიხეილ მლებრიშვილი




# ეკო-კლუბების წარმომადგენლები საგანმანათლებლო რესურსცენტრში

***24 ოქტომბერს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაიმართა მუნიციპალიტეტის სკოლების წარმომადგენელთა შეხვედრა USAID მიერ დაფინანსებული 6 მილიონიანი პროექტის „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“ ეკო კლუბების ოფიცერთან ნინო ლაღიძესთან.***

მან ისაუბრა პროექტის შესახებ და მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია ეკო კლუბების სკოლებში ჩამოყალიბების წესებისა და პირობების შესახებ.

როგორც „შირაქმა" გაარკვია, პროექტი ამჟამად საქართველოს 21 საჯარო და კერძო სკოლაში ფუნქციონირებს და ამჯერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მას დაემატება შვიდი საჯარო სკოლა.

ახლადჩამოყალიბებული კლუბების წევრებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ პროექტების წერისა და მართვის ტრენინგებში, რომელიც ორგანიზაციის მიერ იქნება ორგანიზებული და მიზნად ისახავს კლუბების წევრთა უნარ-ჩვევების განვითარებას ამ კუთხით.

პროექტის მოთხოვნაა კლუბების ჩამოყალიბებასთან ერთად აირჩიონ საკვლევი მამართულება გარემოს დაცვის კუთხით, რომლიდან გამომდინარეც შემდგომ დაიწერება პროექტები.

როგორც ნინო ლაღიძემ აღნიშნა, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება სკოლებს შეუზღუდავი რაოდენობით ექნებათ. საგრანტო კონკურსის თანხა 500-$დან 2500-$მდე მერყეობს.

შეხვედრამ საკმაოდ საინტერესოდ და კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა. ნინო ლაღიძემ გამოთქვა აქტიური სკოლების დათვალიერების სურვილი და დირექტორის მოადგილის კახა კოტაშვილის მიწვევით, შეხვედრის დასრულების შემდგომ დაათვალიერა №1 საჯარო სკოლა.

სტუმარმა მოინახულა თვითმმართველობის სამუშაო ოთახი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტი, კმაყოფილი დარჩა. მან სკოლასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

„იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს თანამშრომლობა იქნება ორივე მხარისთვის სასარგებლო და საინტერესო," — აღნიშნეს მხარეებმა.

წელს პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონების (რაჭა-კახეთი) სკოლებში უკვე დაფუძნდა ეკო-კლუბები, ჩატარდა სასწავლო სემინარები ბუნებრივი რესურსების მართვის, პროექტების შემუშავების და მართვის და სხვა გარემოსდაცვითი საკითხების კუთხით. გამარჯვებული პროექტების ავტორ ეკო-კლუბებს გადაეცათ საჭირო ტექნიკა ან აღჭურვილობა ლაბორატორიული კვლევებისათვის. მათთვის ზაფხულში ლაგოდეხის ნაკრძალში ეკო-ბანაკიც მოეწყო.

პროექტი ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით „გლობალური წყლები მდგრადობისათვის" (GLOWS) პროგრამის ფარგლებში. მისი პარტნიორებია: არასამთავრობო ორგანიზაცია ქეა (CARE), არასამთავრობო ორგანიზაცია ვინროკი (WINROCK), იუნესკოს წყლის საერთაშორისო განათლების პროგრამა (UNESCO-IHE) და არასამთავრობო ორგანიზაცია CENN. პროექტი 4 წლიანია და ბიუჯეტი დაახლოებით 6 მილიონ დოლარს შეადგენს.

ილია მარტყოფლიშვილი

# მირზაანის სკოლა - პრობლემები და პერსპექტივები

***სოფელ მირზაანის სკოლამ 2012-13 სასწავლო წელი 33 მოსწავლით დაიწყო, გასულ წელთან შედარებით მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა შეინიშნება. ადგილზე მისულ გაზეთ „შირაქს“ სკოლის შენობაში გაცილებით უკეთესი პირობები დახვდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. არასასიამოვნო ფაქტი კი ის გახლდათ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახის წევრია და სოციალურად დაუცველთა სტატუსს ატარებს.***

პირველი, სასიამოვნო სიახლე, რასაც შენობაში შესვლისთანავე ვიგებ, ისაა, რომ მირზაანის სკოლას უკვე სერთიფიცირებული პედაგოგიც ჰყავს, ის ბიოლოგიის მასწავლებელი - 65 წლის ზოია ფიროსმანაშვილია. ამასთან, კიდევ სამს ჩაბარებული აქვს გამოცდა და იანვარში დაგეგმილ შემდეგ ეტაპს ელოდება.

მზადების პროცესია კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც უახლოეს მომავალში 10-მდე კომპიუტერი გადაეცემა. სკოლაში ტექნიკის შეტანას ის ფაქტი აფერხებს, რომ, ამ ეტაპზე, კაბინეტი გისოსებით აღჭურვილი და დაცული არ არის. სკოლაში კომპიუტერებს უსაფრთხოების ზომების დაცვის შემდეგ შეიტანენ.

მირზაანში სკოლა გასულ წელს აღდგა, თუმცა, ის კვლავაც სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დაქვემდებარებაში რჩება. აქ 15 პედაგოგი მუშაობს, ნაწილი მაჩხაანის სკოლიდან ითავსებს, დანარჩენები კი ადგილობრივები არიან. სკოლის აღდგენის შემდეგ, ზოგიერთი უმუშევარი და დამწყები პედაგოგიც დასაქმდა.

სრულად და განცალკევებულად გახსნილი მხოლოდ მესამე, მეშვიდე და მეთერთმეტე კლასიებია. დანარჩენი კლასები ე.წ. კლასკომპლექტის სახით მოქმედებს. I და II, V და VI კლასები გაერთიანებულია. დანარჩენი კლასები სკოლაში არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, წელს სკოლა სასწავლო პროცესს „ბოლო ზარის“ გარეშე დახურავს.

ცნობილია, რომ სკოლის დახურვის შემდეგ სოფელ მირზაანიდან მოსახლეობის გადინებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამჯერად პედაგოგები სასიამოვნო ტენდენციაზე ამახვილებენ ყურადღებას და აცხადებენ, რომ დედაქალაქსა თუ სხვა ადგილებში გაბნეულმა მოსახლეობამ მირზაანში დაბრუნება დაიწყო.

„იმატა მოსწავლეთა რიცხვმა, სოფელში დაბრუნდნენ გონაშვილები, კორკოტაშვილები... გონაშვილებმა ერთი შვილი 1 კლასში ჩვენთან მოიყვანეს, მეორეს სოფელ მაჩხაანის სკოლაში უნევს სიარული, რადგანაც ჩვენთან მეთორმეტე კლასი არ არის. 5 წელი სკოლა დახურული იყო და გასულ წელს მისმა აღდგენამ სოფელი ძალიან გამოაცოცხლა. ყველა კმაყოფილია,” - აღნიშნეს პედაგოგებმა.

მასწავლებლები განმარტავენ, რომ სკოლას კაბინეტების მოწყობის პრობლემა რეალურად აქვს. კომპიუტერული კლასის



მოწყობა დაწყებულია, თუმცა აქ არ არსებობს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის კაბინეტი და შესაბამისი ბაზა. თუმცა, სულ ახლახან, ზემო მაჩხაანის სკოლიდან დაიბრუნეს ბიოლოგიის კაბინეტისთვის საჭირო თვალსაჩინოებების ნაწილი. იმედი აქვთ, რომ ბიოლოგიის კაბინეტის მოწყობაც მალე მოხერხდება, თუმცა, არც იმას მალავენ, რომ თვალსაჩინოებებით სკოლის უზრუნველყოფის შემთხვევაში, შესაძლოა, კაბინეტისთვის საჭირო ოთახების გამოძებნა გაუჭირდეთ და ფართის სიმცირის გამო ეს პრობლემა რეალურად დადგეს.

ამავე სკოლის ფიზიკისა და ქიმიის პედაგოგები იმასაც ამბობენ, რომ ამ საგნების კაბინეტების მოწყობა ჯერ არ იგეგმება, ეს კი მოსწავლეებს ცდების ჩატარებასა თუ საკითხის უკეთ გარკვევაში ხელს უშლის.

„ჩვენი სოფლისთვის სკოლა, მუზეუმი და სოფლის მეურნეობა - ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მირზაანში ნიკო ფიროსმანის მუზეუმი თუ განვითარდება და ტურისტების შემოდინება დაიწყება, ვფიქრობთ, რომ სოფელი საგრძნობლად განვითარდება, მოსწავლეთა კონტინგენტიც გაძლიერდება. ბევრი იმასაც აკვირდება, შეინარჩუნებს თუ არა სოფელი სკოლას და იმის მიხედვით გეგმავენ სოფელში დაბრუნებას.

ცოტა დავრჩით და ვცდილობთ ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. ბევრ გაჭირვებულ ბავშვს შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, ტანსაცმლით, თუ სხვადასხვა პროდუქტით. მაქსიმალურად ვცდილობთ, სოფელს და საზოგადოებას დავუმტკიცოთ, რომ სკოლის გახსნამ დადებითი შედეგები მოიტანა. ამ წუთებშიც, რამდენიმე კლასის მოსწავლე სოფელ ქვემო მაჩხაანში, ლაშქრობაზე არის ნასული. ვემზადებით შემოდგომის ზეიმისთვის, რომელიც სულ მალე უნდა ჩატარდეს. გვქონდა ანბანის ღონისძიება, ასევე ვაჟა ფშაველას 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მოსწავლეთა მშობლებს სკოლის აღდგენა ძალიან უხარიათ. მთავარი კი ის არის, რომ ჩვენს მოსწავლეებს განათლების მისაღებად

კილომეტრების ყოველდღიურად გავლა აღარ უხდებათ,” - აღნიშნავს სკოლის პედაგოგი ნაირა ყოჩიაშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, პედაგოგიური კოლექტივი მოსწავლეთა შესაძლებლობებით კმაყოფილია: „ნიჭიერი ბავშვები არიან, ყურადღებით გვისმენენ და ყველაფერს კარგად ითვისებენ. როდესაც საგანს ვხსნით, მათგანაც ადეკვატურ რეაქციას ვიღებთ. ერთი დღითაც არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი, არც დიდთოვლობის დროს. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა სკოლაში დგას ე.წ. შატალოს პრობლემა. ჩვენს სკოლაში ეს არ ხდება და ბოლო გაკვეთილებზეც კი სრული დასწრებაა, რითიც ვამაყობთ. როცა სკოლა გააუქმეს, 76 მოსწავლე გვყავდა, აქ ჩამოსულ განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას ვეხვეწეთ, სკოლას ნუ დაგვიხურავ, ამ კერას ნუ მოსპობ, თუმცა უხეშად გვიპასუხამ ნიკალა ფიროსმანის სახელით ნუ სპეკულირებთო და სკოლაც გაგვიუქმეს. მალევე დადასტურდა, რომ სკოლის აღდგენა ისევ აუცილებელი იყო და არაერთ პრობლემასთან ერთად ამ ნაბიჯმა სოფელი დაცლის საფრთხის წინაშეც დააყენა,” - იხსენებენ პედაგოგები.

როგორც ადგილზე სტუმრობისას გავარკვიეთ, მირზაანის სკოლის მოსწავლეებს საატესტატო გამოცდების ჩაბარება მაჩხაანის სკოლაში მოუწევთ, ეს კი იმ მიზეზით მოხდება, რომ კომპიუტერული კაბინეტის მიწყოფის შემდგომაც სოფელში, ამ ეტაპზე, ინტერნეტის შეყვანა ვერ მოხერხდება.

ილია მარტყოფლიშვილი

# მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები პირველ სკოლაში

**19 ოქტომბერს დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. გაზეთ შირაქის ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნები 12ა კლასში ჩაიშალა, კენჭისყრა ფრედ დასრულდა 11ა კლასში.**

**როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კახა კოტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობის (50%+1) გამოუცხადებლობის გამო 12ა კლასში არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა. განმეორებითი არჩევნები 22 ოქტომბერს გაიმართა.**

19 ოქტომბერს დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. გაზეთ შირაქის ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნები 12ა კლასში ჩაიშალა, კენჭისყრა ფრედ დასრულდა 11ა კლასში.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **კახა კოტაშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობის (50%+1) გამოუცხადებლობის გამო 12ა კლასში არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა. განმეორებითი არჩევნები 22 ოქტომბერს გაიმართა.

„არჩევნებმა წარმატებით ჩაიარა, მოსწავლეთა აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო და 78% შეადგინა, რაც ერთ-ერთ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ამ სამი წლის განმავლობაში, რაც ჩვენ ამ ტიპის არჩევნებს ვატარებთ. კონკურენცია რიგ კლასებში საკმაოდ მაღალი იყო, მაგალითად 10 ბ კლასში 5 კანდიდატი იბრძოდა 2 ადგილისთვის. ასევე 2 კლასში ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო სამმა კანდიდატმა, რომელთა შორის გამარჯვებულიც თვითმმართველობის პირველ სხდომაზე გაირკვა. იყო პრობლემებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია 12 კლასების პასიურობა. 12ა კლასში მოსწავლეთა ნახევარზე მეტის გამოუცხადებლობის გამო არჩევნები ჩაიშალა და მიუხედავად იმისა, რომ ერთ კანდიდატი იყო, ცესკომ საარჩევნო დებულების საფუძველზე განმეორებითი კენჭისყრა დანიშნა. მთლიანობაში საარჩევნო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, თვითმმართველობის ახალი წევრები კიდევ უფრო აქტიურები იქნებიან აწ უკვე ყოფილ დელეგატებთან შედარებით. მინდა თქვენი საშუალებით მივულოცო ყველა გამარჯვებულ კანდიდატს და წარმატებები ვუსურვო,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კახა კოტაშვილმა.

19 ოქტომბერს ხმის მიცემის პროცესი პირველ სკოლაში 9:00-დან 15:00 საათამდე მიმდინარეობდა.

ხოლო 22 ოქტომბერს, განმეორებით კენჭისყრაში, მონაწილეობდა ოთხი კანდიდატი, რომელთაგან სოსო ჩუთლაშვილმა მიიღო 6 ხმა, მეორე ადგილზე გასულმა თამარ ბიკაშვილმა- 4.

შესაბამისად ცესკოს შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე 12ა კლასის წარმომადგენილი თვითმმართველობაში 2 დელეგატია — **სოსო ჩუთლაშვილი** და **თამარ ბიკაშვილი.**

ამას გარდა, 22 ოქტომბერს ახლადარჩეული თვითმართველობის პირველი სხდომა გაიმართა რომლის დღის წესრიგი რამოდენიმე საკითხს მოიცავდა: 10ბ და 11ა კლასებში არჩეული დელეგატების უფლებამოსილების ცნობის შესახებ; საბაზო და საშუალო საფეხურების პრეზიდენტების არჩევა; თვითმმართველობის წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხის განხილვა.

სხდომას 23 დელეგატიდან 21 ესწრებოდა, შესაბამისად კვორუმი შედგა. კრებას უძღვებოდა სკოლის დირექტორის მოადგილე და მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები 2012-ის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კახა კოტაშვილი, რომელმაც

დელეგატებს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და წარმატება უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

მან დელეგატებთან არჩევნების შედეგები მიმოიხილა. შეგახსენებთ, რომ 10ბ და 11ა კლასში არჩევნებმა 2 გამარჯვებული კანდიდატი ვერ გამოავლინა: 10ბ კლასში ორმა კანდიდატმა **ნათია ლატარიამ** და **თამარ ხუციშვილმა** ერთნაირი 3-3 ხმა მიიღეს, ხოლო 11ა კლასში სამივე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა 7-7 მიიღეს. შესაბამისად დებულების მიხედვით მათი ბედი თვითმმართველობის პირველ სხდომაზე დელეგატებს უნდა გადაეწყვიტათ. თუმცა, ვინაიდან 10ა კლასში მხოლოდ ერთი დელეგატია არჩეული, ცესკოს თავმჯდომარემ შესთავაზა დელეგატებს ამ კანდიდატებისთვის მიეცათ საშუალება ყველა დარჩენილიყო თვითმმართველობის წევრად და გაეგრძელებინა მუშაობა. საკითხი ერთხმად გადაწყდა დადებითად, რის შედეგადაც დელეგატების რაოდენობა 23-მდე გაიზარდა.

მეორე საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ამ დღეების განმავლობაში. თვითმმართველობას უნდა აერჩია საბაზო და საშუალო საფეხურების პრეზიდენტები. საბაზო განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, თითოეულ საფეხურს საკუთარი პრეზიდენტი ჰყავს, რომელსაც შესაბამისი საფეხურის დელეგატები ირჩევენ.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, კენჭისყრა ფარულად ჩატარდა და საბაზო საფეხურის პრეზიდენტად მეცხრე ბ კლასის წარმომადგენელი, დელეგატი **ერეკლე ჩერქეზიშვილი,** ხოლო საშუალო საფეხურის პრეზიდენტად 11 ა კლასის წარმომადგენელი **გიორგი (გიგი) იაკობიშვილი** აირჩიეს.

არჩევნების ჩატარების შემდეგ, ახლადარჩეულ პრეზიდენტებს წლიური სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის შექმნა და თვითმმართველობის შემდეგ კრებაზე მისი წარმოდგენა დაევალა.

ილია მარტყოფლიშვილი

# ოთარ ჭილაძე - „ფიროსმანი"

**27 ოქტომბერს დიდი ნიკალას ეზოგარემო კიდევ ერთხელ უმასპინძლებს უამრავ სტუმარს, ვისთვისაც ძვირფასია მისი შემოქმედება. გაზეთი "შირაქი" კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს გენიალურ თვითნასწავლ მხატვარს და გთავაზობთ ორი შესანიშნავი მწერლის აზრს ფიროსმანსა და მის შემოქმედებაზე.**

ფიროსმანი, რასაკვირველია, პროფესიონალი მხატვარია, ნათლად გამოკვეთილი პოზიციითა და მკაცრად ჩამოყალიბებული ფილოსოფიით აღჭურვილი. მისი ფუნჯი გარკვეულ კანონებს ექვემდებარება და გარკვეული სკოლის მოთხოვნებს ასრულებს, როცა მუშამბის ნებისმიერ ნაგლეჯს, ტიტანური ძალისხმევითა და გენიოსური დაუდევრობით, სამარადისოდ ანიჭებს განუმეორებელ ხასიათსა თუ უჩვეულო განწყობას, უკეთილშობილეს იდეასა თუ უსპეტაკეს სულს...

ფიროსმანი უკანასკნელი წარმომადგენელია ჩვენი საეკლესიო მხატვრობისა. წესით, ტაძრები უნდა მოეხატა, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობის გამო დუქნებს ხატავდა. და მაინც, მთელი მისი არსება, მიუხედავად ირგვლივ გამეფებული სიბნელისა, ჯიუტად ინარჩუნებს თითქოს სამუდამოდ დამთავრებული უძველესი ქართული საეკლესიო მხატვრობის შორეულ გამონაშუქს. განა მზე რომ ჩადის, ყველაფერი ერთდროულად და ერთნაირად ითქვიფება სიბნელეში?! ზოგიერთი საგანი უფრო დიდხანს უძლებს წყვდიადის შემოტევას, უფრო დიდხანს ინახავს მზის დანატოვარ სინათლეს, და სწორედ ასეთი „საგანია" ფიროსმანიც. მართალია, მისმა „ეპოქამ", მისმა „მიწიერმა დრომ" ტაძრიდან დუქანში გადაინაცვლა, მაგრამ ის მაინც უფრო სულის მხატვარია, ვიდრე — ყოფისა. უფრო სწორად, ყოფის რომელიმე უაღრესად დამახასიათებელი დეტალის აღმოჩენისა და წარმოჩენის იშვიათი უნარით კი არ გამოირჩევა მხოლოდ, არამედ ნებისმიერი დეტალისთვის კიდევ სხვა, ბოლომდე ამოუხსნელი (რასაკვირველია, ჩვენთვის) დანიშნულებისა და მნიშვნელობის მინიჭებით.



მისი „მოქეიფეები" წმინდანებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მოქეიფეებს, ოღონდ ეგაა, ჯვრებისა და ხატების ნაცვლად ხელში ჩვეულებრივი ყანწები უჭირავთ. და მაინც, მათი „ქეიფი" დროსტარების ტრადიციული სცენა კი არ არის, არამედ იდუმალი აქტია უაღრესად მნიშვნელოვანი საიდუმლოს განდობისა, ოღონდ საიდუმლოს განმდობებს სახეებზეც ეტყობათ, თვითონვე რომ არ სჯერათ, მართლა თუ აღმოჩნდება ჩვენს შორის ვინმე მათი საიდუმლოს გამგები.

არც მისი „მეთევზე" ჰგავს ბუნებრივ გარემოში მოხვედრილსა და ნადავლით ხელ-დამშვენებულ მეთევზეს. თუმცა, შარვალაკაპიწებული, მდინარეში დგას და ვეება თევზიც უჭირავს ხელში, ერთი სახტად დარჩენილი, გაწბილებული თუ შეშინებული კაცია, მისთვის უჩვეულო, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი და, გეგონებათ, მდინარეც ელანდება და თევზიცო, ანდა საერთოდ პირველად ხედავს ერთსაც და მეორესაცო...

საერთოდ, ფიროსმანის ფუნჯის ყველა „ნაშიერი" ერთნაირად შემცბარი და გაოცებულია, თითქოს არც ერთი მათგანის სულში ჯერ არ დაბადებულა რაიმე ცუდი ზრახვა. ხოლო მაინც თუ სჩადის ცუდს, მხოლოდ და მხოლოდ იძულებით, ანდა უნებლიეთ, როგორც მოთვინიერებული ცხოველი. ისინი თითქოს იმ გარემოში კი არ დაბადებულან, რომელშიც ცხოვრობენ, არამედ შემთხვევით, მოულოდნელად აღმოჩენილან აქ და ამიტომაც არიან ერთნაირად დაბნეულები, სევდიანები, უცხოები, როგორი უცხოც, ვთქვათ, ჟირაფია საქართველოს ბუნებისთვის. მაგრამ იმავე ჟირაფისა არ იყოს, მათი შემქმნელის ჯადოქრობის წყალობით, ძნელად თუ მოინახება ჩვენს სინამდვილეში რაიმე მათზე უფრო ახლობელი, მათზე უფრო ბუნებრივი, მათზე უფრო ქართული...

# „ნიკო ფიროსმანი" — გრიგოლ რობაქიძე

კახეთის ეპოსი, დეტალი
მაგიური ხაზები:
დიდი თამარ, წაზრდა სინამდვილის.
ლეგენდა ყვავილებით. კულტი მაღალი ქალწულობის თუ ქალურობის. ღვთიურობის ვაზა. იისფერი თვალები.
წმინდა ნინო. ასული უცხო. ჯვარი ვაზის. ჯვარი თმებით ქალისა (ნინოსი თუ მარიამის). უნივერსალური სიმბოლო. ჯვარი: ტანჯვა. ვაზი: ყვავილობა. თმები: სიტკბოს სირბილე. თემა ახალი ჰიუსმანსის, მარადი ნუგეში.
გიორგი მერჩულე. აღწერა წმინდა მამის გრიგოლ ხანძთელისა. ქრისტე და პანთეისტური დარბილება: ახალი მიწა. გენია ქართული სიტყვის. რასსიული სიწმინდე ფორმების. პრობლემა ქართული რენესანსის.
შოთა რუსთაველი. ლექსის თაური. უცნაური: ყოველთვის პრობლემა. წვალება. ბოლოს და ბოლოს? ფარდის უკან გახედვა.
თეთრი გიორგი. ღმერთი და ქალური ხაზი. ქართული დიონის. სათნო პროფილი. ქაშვეთი. ლოცვა და სინაზე. თეთრი ქვები.
გიორგი სააკაძე. გმირი შემმართებელი. ვერდატეული საქართველოში. გადავარდნა და მოვარდნა. ხმალი გადატეხილი. არმიღება ემპირიულ საქართველოსი. სიყვარული შორეულის. ბერი იოვან.
ვაჟა ფშაველა. ბარბაროსი რომელშიაც გენიამ გაიღვიძა. მუდამ უსინათლო ჰომეროს: თვალღია ზმანება. ქართული მითოს. გველის მჭამელი.
ნიკო ფიროსმან. ველური და ბავშვი. მიწა დედა. დაუმშრალი ძუძუები. ქართული ხედვა.
რვა ხაზი გენიალური. აქ იხსნება ქართული კულტურა. ასეთია ჩემი მიხვედრა (იხ. ჩემი დამზადებული წიგნი "საქართველო").
ამხანად მხოლოდ ფიროსმანზე.

* * *

ჯერ მოკლე ექსკურსი.

ევროპის კულტურას ახასიათებენ: ჰამლეტის მოწყვეტილობა და ფაუსტის ლტოლვა. ევროპაში თითქო გაქრა მიწის საშო. შვილი მოწყვეტილია მშობელს და თვითონ უშვილოა. მიწის სიკვდილს თანსდევს მარტოობა უკანასკნელი და ევროპის გუნება უმთავრესად მელანქოლია არის. არ არის საკვრველი, თუ იქ დაიბადა სასტიკი წყურვილი პირველყოფილისა ანუ პირველმიწისა.

რუსსო მოუწოდებს "ბუნებასთან დაბრუნებას". — თუმცა ეს მოწოდება სანტიმენტალურია. ტოლსტოი მოუხმობს "გაუბრალოებისაკენ", — თუმცა ეს მოხმობა რაციონალისტურია. ხოლო უფრო მნიშვნელოვანია ორი ფაქტი: პოეტი პოლ კლოდელ მიდის ჩინეთში და აღმოსავლური სიცოცხლის რიტმით ანოყიერებს თავის პოეტურ ხედვას. მხატვარი პოლ გოგენ მიდის ტაიტში და ველურებში ეზიარება მიწის სიქალწულეს. ორივეს შემოქმედება იღებს ახალ დენას.

ეს დენა მიდის გზით: პრიმიტივიზმი სირთულეს გაივლის შემდეგ. აქ არის რაღაც ისეთი, რაც ჯერ მიუღწეველია და რაც კიდევ გამოსაცნობი.

ყოველ შემთხვევაში ევროპამ შეიცნო, რომ "ველურობა" არ არის უბრალო რამ. "ველური" პირველ ყოვლისა ბავშვია და ბავშვთან ყოველთვის არის ღმერთი. ყოველ მის ნაკვეთს აზის ბეჭედი "პირვანდელის", უეჭვოსი, პირდაპირის, სწორის. აქ არის პირველ-თქმა, აქ არის გულახსნილობა, აქ არის ღმერთის სიახლოვე. ამისათვისაა, რომ ველურის ქმნილი ასეთი მძაფრი ეკსპრესიით მოქმედობს: როგორც დიდი ლოდი, როგორც წყარო მაჯის სიმსხო, როგორც ირემის ნაყარი რტოები. უკვდავი ჰომეროს: მარადი ბავშვი და მარადი ღმერთი. ველურის მიერ გამოჭრილი თევზის ძვალზე შველი თუ მამონტი — ეს არის პირველი სიუხვე შემოქმედების ჟინის. ცხადია: ამ სიქალწულეს დაეწაფებოდა ევროპის ხელოვნება.

ხოლო აღსანიშნავია: ეს არ არის სირთულის "მოყირჭება", როგორც ბევრსა ჰგონია, — თანაბარ თქმისა:

"თეთრი პური მომწყინდა და შავზე უნდა გადავიდე". აქ უფრო სხვა ფენომენია: ნდომა უკანასკნელი გულახდის და მსოფლიოში შვილურად გადნობის: ბოლოს და ბოლოს ნდომა ზეკაცად ქცევის.

პრიმიტივიზმის გაძლიერებას არქეოლოგიურმა აღმოჩენებმაც შეუწყვეს ხელი. კრიტის კულტურა. ევანსის მიერ აღმოჩენილი, შთაგონებად გადაიქცა ევროპის ხელოვნებისათვის. მართლაც გადასარევია, რომ იხილო სამაჯური, რომელიც, ვინ იცის, შესაძლოა მშვენიერ ჰელენეს ხელს ამშვენებდა. კრიტის კულტურის რომელიმე ნაშთი არ არის ისეთი სისრულის როგორც პრაქსიტელის ჰერმეს, მაგრამ მასში ბავშვის ხელი ღმერთით არის მოქნეული: უდარდელი და სწორი. აქ არის მომაჯადოებელი დენა ქმედითი ენერგიის, რომელშიაც მოსჩანს ძველი ეგვიპტეცა და გადასული ქალდეაც. თვითონ კრეტი გადარჩენილ კუნძულათ იგულვება კატასტროფულად დალუპულ ატლანტიდისა.

* * *

ნიკო ფიროსმან პრიმიტივისტია. არა იმ აზრით, როგორც მაგალითად გოგენ, მას არ უგემნია კულტურა. მას არ გაუვლია რომელიმე შკოლა. საეჭვოა, რომ მას რაიმე ტეხნიკა გაევლოს ხაზვისა თუ ხატვის. მით უფრო საცნაურია მისი ფენომენი. ეგვიპტის უსახელო ფრესკა, აფრიკის რომელიმე კერპი, ეტრუსკის ვაზა: ამ რიგში უნდა დავინახოთ ფიროსმანის ხატული. მაშინ მისი ხილვა ნამდვილს შთაბეჭდილებას გადმოსცემს.

კალოს ლენვა, ფიროსმანი

მთავარი მოტივი ფიროსმანის არის ქართული "მიწა". მე არ შემიძლი მეორე სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ეგრძნოს ამ მიწის "დედობა", დღეობა, ღრეობა, ყურძნის კრეფა, ქათმები, ბავშვები, ცხოველები, კალო -აქ არის ნამდვილი ფიროსმან. აქ არის მოცემული ქართული ტემპერამენტი: ხალასი, მზით დაფერილი. აქ თქვენ ვერ ნახავთ მელანქოლიას. აქ მხოლოდ სიცოცხლეა: ხალისით, გულახდით, ნადიმით.

ნიკო ფიროსმანის პრიმიტივი არის უკანასკნელი "უშუალობა". ეს არის ფრაზა. ეს არის ოტოლოგიური ფაქტი. ზეკაცობა თუ ღვთიურობა მხოლოდ ასეთს "უშუალობაში" თუ მოიცემის. მისთვის არსი ასე მძაფრი ეკსპრესსი ფიროსმანის ხატულის ხილვის. ბავშვი ბატებთან, კრუხი წიწილებით, კალო, — რომელი სხვა ვთქვა, — ყველა ეს შთაგონების სხეულყოფაა თვითონ: აქ თითქო შუაგზა მოსპობილია შთაგონებისა და მის განსხეულების შუა.

ფიროსმან აქ ველურია და თან ნამდვილი ბავშვი. საკვირველი არაა, თუ ღმერთიც მასთან არის. ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი.

შესაძლოა ბევრი სთქვა ფიროსმანის ხატულზე როგორც "ხატულზე". ფაქტურა, პოზიცია, მური, ტონი და სხვა მისი ხატულის, არც ერთი ეს არ არის "კულტურა" — გავლილი. მაგრამ აბსოლუტური უშუალობის გამო "კულტურის" გარეშე გაუმართავი ხაზები თითქო იკარგებიან. რჩება მხოლოდ "ბუნება" უკანასკნელი დაწურვით. ამისათვისაა, რომ ფიროსმანის ხატული მოქმედობს როგორც პირდაპირ ნატეხი "ბუნების": წყაროს თვალი თუ ირმის ჩლიქი. ერთი რამ აღსანიშნავია. ფიროსმან ხატავდა უმრავლესად კალენკორზე. ამისათვის მის ხატულს (მხატვარ დ. შევარდნაძის სიტყვით) განსაკუთრებული ფერი მიეცა. ეს ფერია ლადო გუდიაშვილის ნახატებში რომ შედის როგორც მთავარი ტონი.

უცნაურია თვითონ ბედი ფიროსმანის. თითქო იგი კი არ მოკვდა, არამედ დაიკარგა. თითქო მისთვის, რომ მისი ხატული "უსახელოდ" დარჩენილიყო, როგორც ყოველი ნაყოფი დიდის პრიმიტივისა.

ხედავ ფიროსმანს -და გჯერა საქართველო.

"ბახტრიონი" №8, 1922 წ.

# დღის კალენდარი

***წლის 300-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 66 დღე.***

## საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან 21-ე შვიდეული. პარასკევი

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა; ხსენება წმიდა მოწამეების: კარპესი, თეატირელი ეპისკოპოსისა, პაპილა დიაკვნისა, აღათოდორესი და აღათონიკასი, პაპილას დისა; ფლორენტისა და ბენიამინე დიაკვნისა; ღირსი მამის ნიკიტა აღმსარებლისა; წმიდა დიდმოწამის ზლატა ქალწულისა, მოგლენელისა; ღირსი მამის ანტონ ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა და ხუცესმონაზონ იაკობისა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ივერიის ხატი, რომელიც ათონის წმიდა მთაზე იმყოფებოდა, მრავალი საკვირველმოქმედებით განიდიდა. ათონელმა ბერმა იამვლიქემ ასლი გადაიღო ივერიის ხატიდან და ათონელ ბერთა თანხლებით წმიდა ხატი მოსკოვს გაგზავნა. ეს წმიდა ხატი ივერიისა მრავალრიცხოვანი საკვირველმოქმედებით განიდიდა უფლის მიერ.

წმიდა მოწამე ფლორენტი ქალაქ სოლუნის მკვიდრი იყო. მან მრავალი წარმართი მოაქცია ჭეშმარიტი ღმერთის მსახურების გზაზე, ასწავლიდა რწმენას ქრისტესას და აღსრულებას ღვთის ნებისა. ამისათვის წარმართებმა იგი სასტიკად აწამეს.

წმიდა მოწამე ბენიამინე დიაკვანმა მრავალი სპარსელი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. იგი სპარსეთში ევნო სახარების ქადაგებისათვის V საუკუნეში.

ღირსი ნიკიტა აღმსარებელი დედოფალ ირინესა და მისი ძმის კონსტანტინეს ხელმწიფების ჟამს იმყოფებოდა მათი სასახლის კარზე. იგი ბერად აღიკვეცა და ერთ-ერთ მონასტერში დასახლდა. როდესაც საიმპერატორო ტახტზე ხატთმბრძოლი თეოფილე ავიდა, ღირსი ნიკიტა მწვალებელთა მხილებისათვის მონასტრიდან განდევნეს. ღირსი ნიკიტა აღმსარებელი 75 წლისა გარდაიცვალა.

წმიდა დიდმოწამე ზლატა ქალწული, მოგლენელი დაიბადა და ცხოვრობდა ბულგარეთის სოფელ სლატინოში, იმ ხანებში, როცა ბულგარეთი თურქთა უღლის ქვეშ იმყოფებოდა. ერთ ადგილობრივ თურქს არაერთგზის უცდია მისი ცთუნება, რათა მაჰმადის სჯულზე მიექცია წმიდანი, მაგრამ მან ვერ შეარყია ქრისტეს ამ დიდებული აღმსარებლის სული. წმიდა დიდმოწამე ზლატა ქალწული მოწამებრივად აღესრულა მაჰმადიან თურქთა ხელიდან 1795 წელს.

## დაიბადნენ:

1685 — ჯუზეპე დომენიკო სკარლატი, იტალიელი კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1757 წელს.

1826 — დიმიტრი ბაქრაძე, გამოჩენილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, გარდაიცვალა 1890 წელს.

1880 — ანდრეი ბელი (ბორის ბუგაევი), რუსი მწერალი, გარდაიცვალა 1934 წელს.

1881 — დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია), მწერალი, გარდაიცვალა 1938 წელს.

1887 – არტემ ერქომაიშვილი, ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე, ლოტბარი. გარდაიცვალა 1967 წელს.

1901 — დავით ციციშვილი, ცნობილი ქართველი მხატვარი და გრაფიკოსი, გარდაიცვალა 1986 წელს.

1907 — თინათინ ვირსალაძე, ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

1916 — ფრანსუა მიტერანი, საფრანგეთის პრეზიდენტი, გარდაიცვალა 1996 წელს.

1919 — მუჰამედ რეზა ფეჰლევი, ირანის უკანასკნელი შაჰი, გარდაიცვალა 1980 წელს.

1939 — თენგიზ ბერიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1947 — ჰილარი კლინტონი, ამერიკის სახელმწიფო მდივანი.

## გარდაიცვალნენ:

1767 — უილიამ ჰოგარტი, ინგლისელი მხატვარი, დაიბადა 1697 წელს.

1972 — იგორ სიკორსკი, ავია-კონსტრუქტორი, დაიბადა 1889 წელს.

1979 — პაკ ჩონ ხი, კორეის პრეზიდენტი, დაიბადა 1911 წელს.

## მოვლენები:

1863 წელი — ჟენევაში დაარსდა საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია.

1900 წელი — ნიუ-იორკში გაიხსნა პირველი მეტროპოლიტენი.

1956 წელი — შეიქმნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

1979 წელი — სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პაკ ჩონ ხი საიდუმლო სამსახურის აგენტებმა მოკლეს.

1994 წელი — იორდა-

---

**მონატრება**

## გიორგი შარმაზანაშვილი



საყვარელო პაპა! 23 ოქტომბერს 5 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები, ცრემლით და სევდით სავსე იყო ეს 5 წელი ჩვენთვის. გვჯერა, სამოთხეშია შენი სული, პაპა, რადგან შენ იყავი სიკეთით, ერთგულებით და პატიოსნებით სავსე ადამიანი, რითაც ყველას-დიდსა თუ პატარას, შინაურსა თუ გარეულს შეაყვარე თავი.

ძალიან საყვარელი და ტბილი პაპა იყავი, ქართველი კაცის ეტალონი. „ბუცკი პაპა“ ამ სახელით გიცნობდა ყველა, ჩვენს ამ სახელით გეფერებოდით და ვამაყობდით, ვამაყობთ დღესაც და ვიამაყებთ ყოველთვის შენი შთამომავლები. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ არ ყოფილა მართალი, რაც დრო გადის, მით უფრო გვტკივა უშენობა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, პაპა, ჩევნს ხსოვნაში მუდამ დარჩები სასურველ და სანატრელ ადამიანად.

შენი შვილიშვილები: თორნიკე, იზა, ირაკლი ლაჯიაშვილები; თათია ბენაშვილი;

ბესიკ და სოფიკო სუხიტაშვილები; თინათინ და მარიამ გიგაურები; შვილთაშვილები: მარიამ ყოჩიაშვილი, ეთერ ტურიაშვილი;

---

**მონატრება**

## დალი ბენაშვილი

ჩვენო საყვარელო დალი მამიდა, გილოცავთ დაბადების დღეს! 1 ნოემბერი ხომ შენი დაბადების დღეა-63 წლის უნდა გამხდარიყავი, მაგრამ ერთი წლის წინ ტრაგიკულმა შემთხვევამ მოულოდნელად შეწყვიტა შენი გულის ცემა. გული, რომელიც დიდ სითბოს და სიყვარულს იტევდა.

მოულოდნელად წახვედი ჩვენგან და ენით აუწერელი ტკივილი დაგვიტოვე. გაუსაძლისია უშენოდ ყოველი წუთი. შენი დაბადების დღე ხომ სიხარულით უნდა აღგვენიშნა. შენ კი გამოუთქმელი ტკივილით და ცრემლით შეგვიცვალე 1 ნოემბერი.

სამაგალითო მამიდა და მეგობარი იყავი შნი ძმისშვილებისთვის. აუწონავი და ფასდაუდებელი ამაგი გაქვს შენს ძმისშვილებზე, რისთვისაც უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმ ამაგისთვის, რაც თითოეული ჩვენთაგანისთვის თავდაუზოგავად გასწიეთ. ნათელში იყავი ჩვენო ძვირფასო ადამიანო. შენი ძმისშვილები-თეა, ნათია და სოსო დიდი სიყვარულით მოიყვანენ თავის შვილებს შენს საფლავზე და აგინთებენ წმინდა სანთლებს.

გვიყვარხარ, გვახსოვხარ და გვენატრები, საყვარელო დალი მამიდა.

შენი ძმა ბეჟანი,
ძმიშვილები: თეა,
ნათია და სოსო ბენაშვილები.

---

**მონატრება**

## მიხა შარმაზანაშვილი

გავიდა, შვილო, უმძიმესი 7 წელი შენი გარდაცვალებიდან. თითქოს გუშინ დაგვეცა შენი სიკვდით გამოწვეული მეხი, ისე გვგონია, თითქოს შვიდი წლის განმავლობაში ნანახი მწარე სიზმრების ქაოსში ვართ კიდევ. ისევ გეძებთ, გელით და გელით უსასრულოდ, მაგრამ ამაოდ. შენ სამუდამოდ წახვედი ჩვენგან, არც გვინდა, რომ დავიჯეროთ რადგან, დედა ისევ შენს მოლოდინშია, ეგება კარები ძველებურად შემომიხსნასო. რამდენი წელიც გინდა გავიდეს, მაინც ისევ ჩვენი ოჯახის წევრი გქვიან, ისევ ვამზადებთ შენს საყვარელ საჭმელს, შენს სკამზე კი შენი ვაუკაცი თორნიკე ჯდება, თითქოს შენი ასლიაო, ისე გგავს ვაჯკაცობაში.ისიც შენსავით მოსიყვარულე და ზრდილობიანია. შენი ლელა უკვე მეცხრე კლასშია, თორნიკე კი ორ წელიწადში ამთავრებს სკოლას.

შენი მეუღლე ეკა მძიმედ განიცდის შენს დაკარგვას. ჩვენ ყველანი გვერდით უდგევართ, მაგრამ უშენობას ვერასდროს შეუვსებთ. ყველანი ვეწვალებით, ვშრომობთ და ასე ცრემლიან წუთისოფელში ვაღამ-ვათენებთ უშენოდ. საწყალი მამაშენი უშენოდ დაბეჩავდა შენი დარდით. 3 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, 36 წელი უნდა შეგსრულებოდა, 21 ნოემბერს კი გაგვიფრინდი უმისამართოდ და დაგვტოვე უნუგეშოდ. ან როგორ ვუძლებთ, შვილო, უშენობას, მაგრამ სიკვდილთან ყველა უძლურები ვართ. შენი ძმა დათო, დები ქეთინო და მარიკა ოჯახებით დიდი სიყვარულით გიხსენებენ. შენს შვილებთან ერთად ყოველთვის მიდიან შენს საფლავთან და გინთებენ წმინდა სანთელს.

ჩვენ ყველანი ვევედრებით უფალს, რომ ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

შარმაზანაშვილების ოჯახი.

---

**მონატრება**

## ბელურა მაჩაბლიშვილი



ჩვენო ძვირფასო ბელურა, უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შენი ხმა აღარ გაგვიგონია. სულით მდიდარო, გულით მართალო და სიკეთით სავსე ადამიანო, ალბათ სიტყვას ვერ მოვძებნი, ისეთ საქებარს, შენ რომ არ გეხებოდეს. იყავი უაღრესად კარგი მშობელი, უძვირფასესი პაპა, კარგი მეუღლე. სამეზობლოში გამოირჩეოდი როგორც ყველასთვის სათნო ადამიანი. სამეგობროში დაფასებული და გულწრფელი კაცი, რომელსაც ყველა გენდობოდა.

მოგტირით ყველა, შვილები, შვილიშვილები, მეუღლე, დიშვილები, ძმიშვილები, ნათესავები და შენი სამეგობრო. ყველამ დაგაფასა, ავადმყოფობის დროსაც და სიკვდილის შემდეგაც. გვინდა ილოცო, ყველასთვის, ვისაც შენი სიკვდილი ეწყინა. ნათელში იყოს შენი კეთილი სული, შენს საყვარელ შვილ ნუგზარისთან ერთად, რომელმაც ნაადრევად გვატკინა გული. მისმა სიკვდილმა სამუდამო დაღი დაასვა ჩვენს გულებს. არასოდეს დაგივიწყებთ, სანამ ცოცხლები ვიქნებით. ჩათვალეთ, რომ ორივე ცოცხლები ხართ.

ბელურ, ღმერთს ევედრებოდი, მალე წამიყვანე შვილთანო და გისმინა. როცა განსაცდელში იყავი, შვილებმა მამა ლუკა მოგიყვანეს და როცა ლოცვა დაიწყო, წამებში დამშვიდდი. მოხდა სასწაული, ნახევარ საათში დასრულდა ლოცვა და შენ მშვიდად განისვენე სამუდამო სასუფეველში. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

***მეუღლე:*** ციცინო,
***შვილები:*** ნანა, ბეჟანი;
***შვილიშვილები:*** ნიკა, სოფო, დიტო, გიორგი, მარიამი, ნინო, სოფო;
***სიძე:*** პაატა, ***რძალი:*** მაკა.

# ვინ? სად? როდის? - №1 საჯარო სკოლაში

***18 ოქტომბერს ინტელექტ-კლუბის „ვინ? სად? როდის?“ 2012-2013 წლის სეზონის პირველი, შემოდგომის სერია სპორტული თამაშით გაიხსნა. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ერთმანეთს 11 გუნდი დაუპირისპირდა და საკმაოდ დაძაბული და საინტერესო თამაში შემოგვთავაზა.***

შეგახსენებთ, რომ ახალ სეზონში თამაში შეცვლილი ფორმატით ტარდება და მასში ცალკეული სიახლეები შევიდა.

როგორც პირველი საჯარო სკოლის არასაკლასო აქტივობების მენეჯერმა კახა კოტაშვილმა განაცხადა, ლოგიკურ კითხვებს დაემატა კარიკატურებისა და ცნობილი ფილმებიდან საუნდტრეკების ტურები, რომელმაც თამაშს სიხალისე და ინტერესი შემატა.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაში ფაქტიურად XIIა კლასის გუნდების „იდეალისა“ და „დსჟ მაგნიფიკოს“ უპირატესობით მიმდინარეობდა, მაინც დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლა გამოვიდა.

„აღსანიშნავია, რომ გუნდებს გაუჭირდათ ლოგიკური კითხვების ტურში თამაში და პასუხების უმეტესობა კარიკატურებისა და ძირითადად საუნდტრეკების ტურებში დააგროვეს, რაც იმედია, მომავალში გამოსწორდება, რადგან ჩვენი კლუბი ამ თამაშებს საქართველოს მომავალი ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპებად განიხილავს. სხვა მხრივ თამაშმა კარგად ჩაიარა და განსაკუთრებით აღსანიშნავია ასაკით პატარების მოულოდნელად კარგი თამაში, რომელთაც აშკარად აქვთ კლუბში დაწინაურებისა და ლიდერ ექვსეულებს შორის მოხვედრის პერსპექტივა,“ - განაცხადეს დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში.

ლიდერთა ხუთეული, რომლებიც ელიტარული კლუბის შემოდგომის სერიაში ითამაშებენ კი ასე გამოიყურება:

1. იდეალი
2. დსჟ მაგნიფიკო
3. დეზდემონა
4. კრეატივი
5. ასტეროიდი

თამაშში 11 გუნდი მონაწილეობდა 7-12 კლასებიდან. მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდნენ XIIა კლასის გუნდები - იდეალი (კაპიტანი გიორგი ყოჩიაშვილი) და დსჟ მაგნიფიკო (კაპიტანი სოსო ჩუთლაშვილი). საბოლოოდ 21 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა „იდეალმა“ ერთი ქულის სხვაობით..

„ამ თამაშში პირველ 5 ადგილზე გასული გუნდები მომავალი კვირიდან ითამაშებენ კლუბის სატელევიზიო ვერსიის თამაშებს, რომელიც სეზონებადაა დაყოფილი (შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული)... ყოველ სეზონზე კი სპორტული ვერსიის თამაშები ჩატარდება კიდევ, რადგან ამ თამაშებს საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ვიყენებთ,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კახა კოტაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

**მანანა მაჭარაშვილს!**
**თინათინ ელაშვილს!**
**მანანა ინაშვილს!**

**ჩვენო მანანა,** გილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს – **„ღირსების მედალს“**, რომელიც თქვენ დაიმსახურეთ უანგარო და თავდადებული შრომით, პროფესიონალიზმით და საქმის ერთგულებით. ჩვენ გვეამაყება, რომ მთავრობამ ჩვენი პროფესია დააფასა. გისურვებთ ჯანმრთელობას, სულ წარმატყებული ყოფილიყავით როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში.

**ჩვენს კოლეგას – თინათინ ელაშვილს** ვულოცავთ შვილის – **მერიკო ქადაგიძის** წარმატებებს ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლოს ოქროს მედალზე დამთავრებას და თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტში 100%-იანი გრანტის მოპოვებას. მშრომელ და პერსპექტიულ ახალგაზრდას წინ ცხოვრების დიდი გზა აქვს გასავლელი. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ის სულ წარმატებული იქნება.

**ჩვენს მხატვარს ქალბატონ მანანა ინაშვილს** ვულოცავთ შვილების ბედნირებას. ახლადშექნილ ოჯახს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს და აკვანთა სიმრავლეს.

სარაიონო გიგლიოთეკის თანამშრომლები.

* * *

**ხათუნა გონაშვილს!**
**ზაზა ფიროსმანაშვილს!**
**ვეფხია ნატროშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში. თქვენი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება ყოველთვის ხალხის კეთილდღეობისთვის გამოგეყენებინოთ!

პატივისცემით,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## იყიდება!

რუსეთის პიანინო „ლირიკა“ მუქი წაბლისფერი, კარგ მდგომარეობაში, დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

599 927838; 577614491 იკითხეთ ეთერი;

## სპორტი

### „ჭიდაობა ვაჟკაცური და ამავე დროს ქართული ხასიათის საუკეთესო გამომხატველია...

ნიკოლოზ კობაიძე ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და უკვე ტიტულოვანი სპორტსმენია-საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში. ოთხი წელია, რაც ჭიდაობით დაინტერესდა და მწვრთნელთან - კახა წიკლაურთან ვარჯიშობს. ამბობს, რომ სპორტის ამ სახეობით დაინტერესება საკუთარი ინიციატივით მოხდა და არა მშობლების ჩარევით:“სხვა ბავშვები რომ ჭიდაობდნენ - ხოლმე, მე სიამოვნებით ვუყურებდი მათ და ჭიდაობის სურვილიც აქედან გამიჩნდა. მიმაჩნია, რომ ეს ვაჟკაცური და ამავე დროს ქართული ხასიათის საუკეთესოდ გამომხატველი სპორტია“ - ამბობს ნიკა ჩვენთან საუბრისას.

წარმატებულ ნორჩ სპორტსმენს მომავალი წარმატებისთვის მოტივაციაც აქვს-მას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ხელფასი დაუნიშნა, რათა უკეთ ივარჯიშოს და საერთაშორისო სარბიელზე გაიტანოს საქართველოს სახელი.ნორჩი სპორტსმენის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ.

წარმატებებს ვუსურვებთ ნიკას.

ინგა შიოლაშვილი

## საინტერესო ფაქტები

1. ონორე დე ბალზაკს ასეთი სიტყვები ჰქონდა ამოტვიფრული თავის ხელჯოხზე: “მე ყველა დაბრკოლებას ვამსხვრევ”.

2. პლატონის ფილოსოფიურ სკოლას ამშვენებდა წარწერა: “ვინც გეომეტრია არ იცის, აქ ნუ შემოვა!”.

3. ადოლფ ჰიტლერს ძალიან უყვარდა ადამიანების ხელისგულების თვალიერება. მას უზარმაზარი ძვირფასყდიანი წიგნი ჰქონდა, რომელშიც წარსულში ცნობილი ადამიანის ხელისგულების ანაბეჭდები იყო აღნუსხული. ჰიტლერი ყოველთვის აჩვენებდა სტუმრებს ამ წიგნს და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, რომ მისი ხელისგულის ანაბეჭდი ძალიან ჰგავდა ფრიდრიხ დიდის ხელისგულის ანაბეჭდს.

4. უდიდეს ფილოსოფოსს ფრიდრიხ ნიცშეს თავისი და უყვარდა.

5. პიკასოს ყველაზე ადრეულ ნახატებს ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევია, რადგან იმ პერიოდში მხატვარს შეშის ფული არ ქონდა და გასათბობად ღუმელში საკუთარ სურათებს წვავდა.

6. ჰიტლერი ხალხის წინაშე გამოსვლის დროს ყოველ 53 სიტყვაში ერთხელ აუცილებლად ამბობდა “მე”-ს, მუსოლინი — 83-ში, რუზველტი — 100-ში, ჩემბერლენი — 249-ში.

7. რემბრანტს სახლში მხოლოდ ორად ორი წიგნი ჰქონდა — “ბიბლია” და “ანატომიური ატლასი”.

8. დიდმა ამერიკელმა მწერალმა, რეალისტმა მარკ ტვენმა სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი გადაათვალიერა და ბოლო სტრიქონი ამოიკითხა: “ ბარონი ფონ ბლანკი მსახურით “. ამის ქვემოთ კი თვითონ მიაწერა: “ მარკ ტვენი ჩემოდნით”.

9. გენიალურმა ინგლისელმა ფიზიკოსმა, მექანიკოსმა, ასტრონომმა და მათემატიკოსმა ისააკ ნიუტონმა თავისი მეცნიერული ნაშრომებისათვის ლორდის ტიტული მიიღო და მთელი 26 წელიწადი პარლამენტში გაატარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ ითხოვა სიტყვა: -ბატონებო,- მიმართა მან ლორდებს,- თუ თქვენ საწინააღმდეგო არ გექნებათ, გთხოვთ ფანჯარა მიახურინოთ, გამჭოლი ქარია და მეშინია არ გავცივდე.

10. ალექსანდრე დიუმა რუსეთში მოგზაურობისას თბილისსაც ეწვია და ერთმა მაშინდელმა წიგნებით მოვაჭრემ მაღაზიაში მიიპატიჟა. თავაზიანმა მასპინძელმა საპატიო სტუმრის მოსვლამდე მის საამებლად წიგნის ყველა თარო დიუმას ნაწარმოებებით აავსო.

-დანარჩენი ავტორების წიგნები სადღაა?- ჰკითხა გაკვირებულმა მწერალმა.

-ასე თუ ისე... გაიყიდა.- ენა დაება წიგნით მოვაჭრეს.

## თავისუფალი ჭიდაობა

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მოზარდებს შორის. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ირაკლი ბურდული(50 კგ) და ირაკლი მენთეშაშვილი(60კგ). მეორე ადგილის მფლობელი გახდა ილია ჭუჭულაშვილი(35კგ), ხოლო მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ: იოსებ კიკილაშვილი(32კგ),ნიკა ბიკაშვილი(32კგ), გიორგი კარატიელი(42კგ), გიორგი ნატროშვილი(42კგ), ალექსანდრე სულაშვილი(55კგ).

გუნდი ტურნირისთვის მოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა დავით გონაშვილმა.

## ამინდი

**დედოფლისწყარო**

| შაბათი 27. 10 | კვირა 28. 10 | ორშაბათი 29. 10 | სამშაბათი 30. 10 | ოთხშაბათი 31. 10 | ხუთშაბათი 01. 11 | პარასკევი 02. 11 |
|---|---|---|---|---|---|---|
| დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე |
| 14 ° 10 ° | 15 ° 11 ° | 13 ° 10 ° | 13 ° 12 ° | 13 ° 10 ° | 13 ° 10 ° | 13 ° 12 ° |

გამომცემელი „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K